

## **შპს ცოტნე**

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება**

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული**

**საანგარიშგებო წლისთვის**

|                                                  |   |
|--------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....         | 3 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....               | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... | 5 |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება .....     | 6 |

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

|                                                             |    |
|-------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                  | 7  |
| 2. მომზადების საფუძვლები .....                              | 7  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....        | 8  |
| 4. ძირითადი საშუალებები.....                                | 12 |
| 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                         | 12 |
| 6. ფული და ფულის ექვივალენტები .....                        | 12 |
| 7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                      | 13 |
| 8. ამონაგები.....                                           | 13 |
| 9. გაყიდული პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულება ..... | 13 |
| 10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                 | 14 |
| 11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                | 14 |
| 12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....         | 14 |

**შპს ცოტნე**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

|                                      | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|--------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                      |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                 | 4        | 1,047,822         | 1,222,419         |
| არამატერიალური აქტივები              |          | 5,202             | 8,899             |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>     |          | <b>1,053,024</b>  | <b>1,231,318</b>  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>            |          |                   |                   |
| მარაგები                             |          | 7,909             | 20,486            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 5        | 101,884           | 257,364           |
| ფული და ფულის ექვივალენტები          | 6        | 669,092           | 289,435           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>        |          | <b>778,885</b>    | <b>567,285</b>    |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>1,831,909</b>  | <b>1,798,603</b>  |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          |                   |                   |
| <b>კაპიტალი</b>                      |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                   |          | 100,907           | 100,907           |
| გაუნაწილებელი მოგება                 |          | 1,214,887         | 1,456,619         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |          | <b>1,315,794</b>  | <b>1,557,526</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          |                   |                   |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები      |          | 148,736           | 107,918           |
| საგადასახადო ვალდებულებები           |          | 101,375           | 11,371            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 7        | 266,004           | 121,788           |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>   |          | <b>516,115</b>    | <b>241,077</b>    |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>1,831,909</b>  | <b>1,798,603</b>  |

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

\_\_\_\_\_

პავლე გოგშელიძე

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ცოტნე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                       | შენიშვნა | 2022             | 2021           |
|-------------------------------------------------------|----------|------------------|----------------|
| ამონაგები                                             | 8        | 1,312,895        | 2,638,066      |
| გაყიდული პროდუქციის და მომსახურების<br>თვითღირებულება | 9        | (1,357,939)      | (2,304,984)    |
| <b>საერთო მოგება</b>                                  |          | <b>(45,044)</b>  | <b>333,082</b> |
| პერსონალის შენახვის ხარჯები                           |          | (120,767)        | (64,120)       |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი                       | 10       | (25,459)         | (35,814)       |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                              |          | <b>(191,272)</b> | <b>233,148</b> |
| ფინანსური ხარჯი                                       |          | (10,747)         | (18,210)       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა         |          | (37,544)         | (21,089)       |
| კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი ზარალი,<br>წმინდა    |          | (2,169)          | (13,638)       |
| <b>წმინდა მოგება</b>                                  |          | <b>(241,732)</b> | <b>180,211</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                             |          | -                | -              |
| <b>მთლიანი სრული მოგება</b>                           |          | <b>(241,732)</b> | <b>180,211</b> |

დირექტორი

\_\_\_\_\_

პავლე გოგშელიძე

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ცოტნე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                  | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ       |
|----------------------------------|-----------------------|-------------------------|-----------|
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 100,907               | 775,315                 | 876,222   |
| სხვა ცვლილება                    | -                     | 501,093                 | 501,093   |
| წლის მთლიანი სრული მოგება        | -                     | 180,211                 | 180,211   |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 100,907               | 1,456,619               | 1,557,526 |
| წლის მთლიანი სრული მოგება        | -                     | (241,732)               | (241,732) |
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 100,907               | 1,214,887               | 1,315,794 |

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს ცოტნე**

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                                                       | <u>2022</u>      | <u>2021</u>      |
|---------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                       |                  |                  |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                                             | <b>(241,732)</b> | <b>180,208</b>   |
| კორექტირებები:                                                                        |                  |                  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                  | 174,596          | 163,360          |
| დარიცხული პროცენტები                                                                  | 10,746           | 18,210           |
| კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი/(მოგება)                                         | 2,169            | 13,641           |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</b> | <b>(54,219)</b>  | <b>375,419</b>   |
| ცვლილება საკუთარ კაპიტალში                                                            |                  |                  |
| მარაგების შემცირება/(ზრდა)                                                            | 12,577           | (3,424)          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)                                          | 155,480          | (123,709)        |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)                                       | 234,220          | (670)            |
| <b>ფულადი ნაკადების შემოძინება/(გაძინება) საოპერაციო საქმიანობიდან</b>                | <b>348,057</b>   | <b>247,616</b>   |
| <b>გადახდილი პროცენტი</b>                                                             | <b>(10,747)</b>  | <b>(18,210)</b>  |
| <b>ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება/(გაძინება) საოპერაციო საქმიანობიდან</b>         | <b>337,310</b>   | <b>229,406</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                     |                  |                  |
| გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა                                                        | 3,697            | 28,375           |
| გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა                                                       | -                | (302,372)        |
| <b>ფულადი ნაკადების წმინდა გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                    | <b>3,697</b>     | <b>(273,997)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>                                        |                  |                  |
| (-) გადახდილი დივიდენდები                                                             | -                | -                |
| (+) მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში                                                | -                | -                |
| (+) მიღებული სესხები                                                                  | 40,818           | (92,082)         |
| (-) გადახდილი სასესხო ვალდებულებები                                                   | -                | -                |
| <b>ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება/(გაძინება) ფინანსური საქმიანობიდან</b>          | <b>40,818</b>    | <b>(92,082)</b>  |
| <b>წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>                          | <b>378,129</b>   | <b>137,324</b>   |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>                                    | <b>289,435</b>   | <b>439,748</b>   |
| <b>გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>                 | <b>(2,169)</b>   | <b>(13,641)</b>  |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>                                         | <b>669,092</b>   | <b>289,435</b>   |

7-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

## 1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს ცოტნე - სთვის (შემდგომში „კომპანია“) 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2013 წელს. ის რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ონის რაიონში, სოფელ სორში. საიდენტიფიკაციო ნომრით: 437976460.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალების მიწოდება და სამშენებლო ტექნიკის იჯარა.

2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

| მფლობელები          | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---------------------|-------------------|-------------------|
| პავლე გოგშელიძე     | 100%              | 50%               |
| ირაკლი კერვალიშვილი | -                 | 50%               |

## 2. მომზადების საფუძვლები

### ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის მესამე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ შესაბამისად. კომპანიის მსს ფასზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

### შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

|                          |          |
|--------------------------|----------|
| ნაგებობები               | 5%-20%   |
| მანქანა - დანადგარები    | 6% - 33% |
| ოფისის აღჭურვილობა       | 20%-33%  |
| სატრანსპორტო საშუალებები | 6% - 20% |

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება არასაოპერაციო შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირი მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.



## **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა**

კომპანია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

### **კაპიტალი და დივიდენდები**

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

## **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

### **დაბეგვრა**

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარი ცვლილება ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

### **შემოსავალი**

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი ფასდაკლებისა და დღგ-ის გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს კონტროლს მიწოდებულ აქტივზე.

### **ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### **ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

**მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)****უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები**

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით, ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისის ხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება(ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

|                                  | საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ<br>გამოცხადებული გაცვლითი კურსი |        |
|----------------------------------|------------------------------------------------------------------|--------|
|                                  | აშშ დოლარი                                                       | ევრო   |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.7020                                                           | 2.8844 |
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0976                                                           | 3.5040 |

**ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                      | მიწა          | ნაგებობები   | მანქანა-<br>დანადგარები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სულ              |
|--------------------------------------|---------------|--------------|-------------------------|-----------------------------|-----------------------|------------------|
| <b>ნაშთი 31.12.2020</b>              | <b>10,500</b> | <b>6,900</b> | <b>148,647</b>          | <b>949,030</b>              | <b>6,508</b>          | <b>1,121,585</b> |
| შემოსვლა                             | -             | -            | 141,589                 | 155,085                     | 5,222                 | 301,896          |
| გასვლა                               | -             | -            | -                       | (50,591)                    | -                     | (50,591)         |
| <b>ნაშთი 31.12.2021</b>              | <b>10,500</b> | <b>6,900</b> | <b>290,236</b>          | <b>1,053,524</b>            | <b>11,730</b>         | <b>1,372,890</b> |
| შემოსვლა                             | -             | -            | -                       | -                           | -                     | -                |
| გასვლა                               | -             | -            | -                       | -                           | -                     | -                |
| <b>ნაშთი 31.12.2022</b>              | <b>10,500</b> | <b>6,900</b> | <b>290,236</b>          | <b>1,053,524</b>            | <b>11,730</b>         | <b>1,372,890</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>               |               |              |                         |                             |                       |                  |
| <b>1 იანვარი 2021</b>                | -             | (1,219)      | (71,227)                | (443,933)                   | (3,437)               | (519,816)        |
| წლის ცვეთა                           | -             | (938)        | (18,884)                | (141,783)                   | (1,755)               | (163,360)        |
| გასული აქტივების ცვეთა               | -             | -            | -                       | 12,889                      | -                     | 12,889           |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>             | -             | (938)        | (18,884)                | (128,894)                   | (1,755)               | (150,471)        |
| წლის ცვეთა                           | -             | (938)        | (20,820)                | (150,903)                   | (1,936)               | (174,597)        |
| გასული აქტივების ცვეთა               | -             | -            | -                       | -                           | -                     | -                |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>             | -             | (1,876)      | (39,704)                | (279,797)                   | (3,691)               | (325,068)        |
| <b>ნეტო საბალანსო<br/>ღირებულება</b> |               |              |                         |                             |                       |                  |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>             | <b>10,500</b> | <b>5,962</b> | <b>271,352</b>          | <b>924,630</b>              | <b>9,975</b>          | <b>1,222,419</b> |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>             | <b>10,500</b> | <b>5,025</b> | <b>250,532</b>          | <b>773,727</b>              | <b>8,039</b>          | <b>1,047,822</b> |

#### 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                       | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური მოთხოვნები:</b>          |                   |                   |
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 36,553            | 198,982           |
| <b>არაფინანსური მოთხოვნები</b>        |                   |                   |
| გადახდილი ავანსები                    | 65,331            | 58,382            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>101,884</b>    | <b>257,364</b>    |

#### 6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                 | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|-------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში         | 513,459           | 117,446           |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში | 155,633           | 171,990           |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>          | <b>669,092</b>    | <b>289,436</b>    |

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

## 7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                          | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები:</b>          |                   |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 216,678           | 120,390           |
| პერსონალის მიმართ ვალდებულება            | 48,922            | 1,398             |
| <b>არაფინანსური ვალდებულებები</b>        |                   |                   |
| მიღებული ავანსები                        | 404               | -                 |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>266,004</b>    | <b>121,788</b>    |

## 8. ამონაგები

ამონაგები 2021 და 2022 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                   | 2022             | 2021             |
|-----------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 1,052,302        | 2,323,142        |
| შემოსავალი რეალიზიციიდან          | 260,440          | 292,377          |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები       | 153              | 22,547           |
| <b>სულ ამონაგები</b>              | <b>1,312,895</b> | <b>2,638,066</b> |

## 9. გაყიდული პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციისა და მომსახურების თვითღირებულება 2021 და 2022 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                  | 2022               | 2021               |
|----------------------------------|--------------------|--------------------|
| სახარჯი მასალების ჩამოწერა       | (424,421)          | (852,655)          |
| გადამუშავების დანახარჯები        | (407,480)          | (631,260)          |
| პირდაპირი ხელფასი                | (193,241)          | (517,342)          |
| ცვეთის ხარჯი                     | (172,661)          | (159,040)          |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | (82,257)           | (9,079)            |
| სხვა პირდაპირი ხარჯი             | (77,879)           | (135,609)          |
| <b>სულ თვითღირებულება</b>        | <b>(1,357,939)</b> | <b>(2,304,984)</b> |

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 და 2022 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                            | 2022            | 2021            |
|--------------------------------------------|-----------------|-----------------|
| დაზღვევის ხარჯი                            | (7,404)         | (8,125)         |
| საგადასახადო ხარჯი                         | (6,225)         | (17,789)        |
| საკონსულტაციო ხარჯები                      | (4,474)         | (3,682)         |
| ბანკის საკომისიო                           | (3,996)         | (1,058)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                       | (1,936)         | (4,320)         |
| სხვა საერთო ხარჯი                          | (1,424)         | (840)           |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი</b> | <b>(25,459)</b> | <b>(35,814)</b> |

#### 11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;
- (ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- (დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს პავლე გოგშელიძის მიერ ერობლივად კონტროლირებადი საწარმო, „შპს ცოტნე-2007“. აღნიშნულ კომპანიასა და „შპს ცოტნეს“ შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

|                       | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|-----------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 14,500            | -                 |
| სავაჭრო მოთხოვნები    | -                 | 1,500             |

#### 12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.